ჩემპიონის ძნელი გამარჯვება

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 23 აგვისტო. ცვალებადი მოღრუბლულობა. 28 გრადუსი. 35 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 2:1 (0:0).

გოლები გაიტანეს – დათუნაშვილი (“დინამო”) (52) – 1:0, ბუბუკინი (“ლოკომოტივი”) (75) – 1:1, ხუციშვილი (“დინამო”) (80) - 2:1.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი (ხუციშვილი - 46).

“ლოკომოტივი”: ტუგოლუკოვი, კორენოვი, ჩინენოვი, პრუდნიკოვი, ბელიაკოვი, პრესნიაკოვი, დავიდოვი (ორეშნიკოვი - 56), სიაგინი, კოვალიოვი, ბუბუკინი, ბისტროვი.

მსაჯი ი. პონომარიოვი; გვერდითი მსაჯები ლ. ეგდიშმანი (ორივე კიშინიოვი) და ულანოვი (ბელცი).

დუბლიორები - 4:1 “დინამოს” სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს – ხუციშვილი (3) და როგავა (“დინამო”); ზაიცევი (“ლოკომოტივი”)

გუშინდელ მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა ორივე გუნდს აიძულებდა ეთამაშა მთელი თავისი შესაძლებლობით, მთელი მაქსიმუმით. ჩემპიონის საქმეები რომ ვერაა კარგად და სარეაბილიტაციო პერიოდიც თანდათან გადის, ეს ყველამ იცის, მაგრამ მოსკოვის “ლოკომოტივი” ახლა ფაქტიურად სახიფათო ზონაში იმყოფება და თითოეულმა ქულამ მისთვის შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ითამაშოს.

მიუხედავად ამისა, მატჩმა ჩაიარა ძალზე უინტერესოდ, დაბალ სპორტულ დონეზე, უტემპოდ. მართალია, საერთო ტერიტორიულ უპირატესობას დინამოელებმა თავიდანვე მიაღწიეს და შეტევასაც ხანგრძლივად აწარმოებდნენ, მაგრამ რა ფასი აქვს შეტევას თუ მას არ ექნა სათანადო დასასრული და თავდამსხმელმა ვერ გამოძებნა საშუალება კარის ასაღებად. თბილისელთა წინა ხაზზე მეტრეველი და დათუნაშვილი ხშირად იცვლიდნენ ერთმანეთს შორის ადგილებს და მორიგეობით ასრულებდნენ ცენტრალური ფორვარდისა და გარემარბის როლს, თუმცა ცხადი იყო ამ მანევრს არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა, ვინაიდან “ლოკომოტივის” მცველები ფეხს არ იცვლიდნენ ზონიდან და ზუსტად მოქმედებდნენ საჯარიმო მოედნის მიდამოებში. გარდა ამისა, მათი მოქმედების მთლიანობას არსებითად თვით დინამოელები უწყობდნენ ხელს, რომლებიც დაუსრულებლად ატარებდნენ ბურთს, აგვიანებდნენ, ან სისტემატურად კარგავდნენ გადაცემას და დიდ შეჯგუფებას ქმნიდნენ მოწინააღმდეგის კარის წინ.

ანგარიშის გახსნა მასპინძლებმა შეძლეს მხოლოდ შესვენების შემდეგ, როცა გ. სიჭინავას მიერ მარჯვნიდან ცენტრში მოწოდებული ბურთი ხელიდან გაუვარდა ტუგოლუკოვს და დათუნაშვილმა ბადეში გაგზავნა იგი - 1:0. მართალია, ეს გოლი “ლოკომოტივმა” 30-ე წუთზე გაქვითა ბუბუკინის საუკეთესო დარტყმის შედეგად.

მაგრამ 5 წუთის შემდეგ ხუციშვილმა თავით გაიტანა მეორე გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ - 2:1.

მეტად საჭირო 2 ქულა მოპოვებულ იქნა, თუმცა ჩემპიონის თამაში კვლავინდებურად არასახარბიელო შთაბეჭდილებას ტოვებს.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 24 აგვისტო, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 24.08.65.